კორნელი კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3

„ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დედამიწის დღესთან დაკავშირებით გამოფენას გახსნის

22 აპრილს 14:00 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ორგანიზებით გაიხსნება გამოფენა „ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“.
გამოფენის მიზანია საზოგადოებას გააცნოს ცენტრში დაცული უნიკალური ხელნაწერები და დოკუმენტები, რომლებიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა და რაც მთავარია ახალგაზრდა თაობას დაანახოს გარემოს დაცვის აუცილებლობა და მნიშვნელობა.
გამოფენა გაიმართება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შენობაში და წარმოდგენილი იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური და მრავალფეროვანი ხელნაწერები: XV-XIX საუკუნეების ისტორიული საბუთები, სასამართლო განხილვები, ტყით სარგებლობის გრაფიკები, შეშისა და საშენი მასალის სარგებლობის წესები, ასევე ხელნაწერები სადაც გამოსახულია სამყაროს შექმნის სცენები, სამედიცინო შინაარსის ხელნაწერები - კარაბადინები, რომლებშიც აღწერილია ბუნებრივი რესურსების მიხედვით სხვადასხვა სამკუნალო საშუალების მომზადება და სხვა.
გარდა ხელნაწერებისა გამოფენაზე წარმოდგენილი ფოტოები, რომელზეც აღბეჭდილი იქნება საქართველოს ნაკრძალები და დაცული ტერიტორიები.
გამოფენა ასევე მოიცავს საგანამანათლებლო პროგრამას: სკოლამდელ და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს შეეძლებათ სხვადასხვა უძველესი ხელნაწერიდან გადმოტანილი ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებების გაფერადება. სტუდენტები და უფროსკლასელები კი სამედიცინო კარაბადინების რეცეპტების მიხედვით მარტივ სამკურნალო საშუალებებს დაამზადებენ.
გამოფენა 26 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

მარიამ ჯაბიძე - 577 977 199
mariamjabidze@gmail.com

pr@manuscript.ac.ge

თამარ გურგენიძე - 599 899 628

friends@manuscript.ac.ge